

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
გეოლოგიის დეპარტამენტი

სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიში

2016 წელი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: პროფესორი ბეჟან თუთბერიძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. თუთბერიძე ბეჟანი, პროფესორი;
2. აქიმიძე გარლო, ასოცირებული პროფესორი;
3. ქუთელია გურამი, ასოცირებული პროფესორი;
4. ლებანიძე ზურაბი, ასოცირებული პროფესორი;
5. ახალგაციშვილი მარიამი, ასისტენტი პროფესორი;
6. ქოიავა ქახა, ასისტენტი პროფესორი;

Geol-2

I. 4. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	საქართველოს ზოგიერთი რეგიონის სხვადასხვა ნიადაგ-გეოლოგიური სტრუქტურის ფონზე ბუნებრივი და ტექნოგენური რადიოაქტივობა და მოსახლეობისათვის რადიოლოგიური რისკის შეფასება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 2015-2018	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ.ჯახუბაშვილი	ბ.თუთბერიძე ე.თულაშვილი მ.ჩხაიძე ლ.მწარიაშვილი მ.ახალკაციშვილი /დამხმარე/

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)**

პროექტი გარდამავალია, და ითვალისწინებს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) ვაკე და მთიანი ტერიტორიის სხვადასხვა ნიადაგის, მაგმურ, მეტამორფულ და დანალექ ქანებში რადიონუკლიდური შედგენილობის და რადიოაქტივობის ფონზე კონცენტრაციების დადგენას, ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორებთან დაკავშირებული თავისებურებანის და კანონზომიერებების განაწილების შესწავლას, მოსახლეობისათვის შესაბამისი რადიოლოგიური რისკის შეფასებასა და ამ მიმართულებით მონაცემთა ბაზის შექმნას. 2016 წლს პროექტის ფარგლებში ჩატარდა საველე-გეოლოგიური ექსპედიციები შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის ტერიტორიის ფარგლებში, საიდანაც მოპოვებული იქნა მდიდარი ქვიური მასალა, რომელიც ამჟამად ლაბორატორიული შესწავლის პროცესშია.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ნიადაგის და ქანების რადიოაქტივობა ქალაქთბილისის რეგიონში და მოსახლეობის დასხივება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 2016-2019	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ე.თულაშვილი	ბ.თუთბერიძე თ.ჯახუბაშვილი ლ.მწარიაშვილი მ.ახალკაციშვილი

### Geol-3

<b>გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)</b>	
<b>გრანტი მიღებულია 2016 წლის დეკემბერში</b>	

- II. 1. პუბლიკაციები:
- ა) საქართველოში

#### სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბ.თუთბერიძე	მაგმური ქანების პეტროლოგია კრისტალორეალიზაციის საფუძვლებით	მზადდება გამოსაცემად	

#### ანოტაცია ქართულ ენაზე

დასრულდა მაგმური ქანების პეტროლოგიის კურსის სახელმძღვანელო კრისტალო-ოპტიკის საფუძვლებით, სტუდენტებისათვის რომლებიც სპეციალიზირდებიან გეოლოგიური აგეგმვისა და სასარგებლო წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების მიმართულებით. ადსანიშნავია, რომ დარგში სილაბუსის მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე ამ ტიპის სახელმძღვანელო არ არსებობს.

მასში განხილულია: მაგმური ქანების მინერალური და ქიმური შედგნილობის თავისებურებანი, წარმოშობის პირობები, კლასიფიკაციისა და მონეკლატურის საითხები, სტრუქტურულ-ტექსტურული თავისებურებებანი, დედამიწის ქერქში დროსა და სივრცეში გავრცელებისა და განაწილების კანონზომიერებანი, მასთან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეული საბადოების ფორმირებისა და პრაქტიკული გამოყენების სფეროები. მაგმური ქანების კვლევის თანამედროვე პეტროგრაფიული, პეტროქიმიური და კრისტალოპრიკური კვლევის მეთოდები; მაგმის წარმოშობისა და მაგმური მდნარის უვოლუციის თეორიებიდა სხვ.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პ. აქიმიძე	მინერალოგიურ- პეტროგრაფიული კვლევის მეთოდები	მზადდება გამოსაცემად	

#### ანოტაცია ქართულ ენაზე

მზადდება ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელო ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის. მასში განხილული იქნება მაგმური და მეტამორფული კომპლექსების სავალე (ჭრილების შედეგენის, პალეორეკონსტრუქციების, ტექსტურულ-სტრუქტურული მახასიათებლების და მეტამორფოზმის ხარისხის დადგენის, ქვიური მასალის აღებისა და სხ.), ლაბორატორიული (კომოგენიზაცია-დეკრიპტიზაციის, თერმული, რენტგენო-სტრუქტურული, იმერსიული, სპექტროსკოპული, მასპექტროსკოპულ-მასპექტომეტრული და ატომურ-აბსორბციული კვლევის, სპექტრული და სილაკატური ანალიზის) და კამერალური (პეტროქიმიური, მიკროსკოპული) კვლევის მეთოდები; აგრეთვე ამ მეთოდებით მიღებული მონაცემების გამოყენების წესები და თანმიმდევრობა აღნიშნული კომპლექსების პეტროლოგიური შეაწავლის დროს.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პ. აქიმიძე	მინერალოგიურ- პეტროგრაფიული კვლევის მეთოდები	მზადდება გამოსაცემად	

1	გ.ლონდაძე	გეოლოგიის	მზადდება	
2	მ.ახალგაციშვილი	საფუძვლები	გამოსაცემად	
ანოტაცია ქართულ ენაზე				

გამოსაცემად მზადაა სახელმძღვანელო „გეოლოგიის საფუძვლები” /მეორე გამოცემა/. წიგნში განხილულია გეოლოგიური მეცნიერების უმთავრესი მიმართულებები, დედამიწისა და მისი ქერქის აგებულება, დედამიწის ქერქის ნივთიერი შედგენილობა /მინერალები, ქანები/, დედამიწის შიგნეთში და მის ზედაპირზე მიმდინარე გეოდინამიური პროცესები. წიგნში გადმოცემულია დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორია.

## სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობ ა	გვერდების რაოდენობ ა
	კაქიმიძე მ.ახალგაციშვილ ბ.თუთბერიძე	ალაზანგაღმა კახეთის გვიანპლინსბახურ- ადრეტოარსული გულკანოგენური წარმონაქმნების პეტროლოგია და მათი სამშენებლო და მოსაპირკეთებელ ქვებად გამოყენების პერსპექტივები; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე <a href="http://science.org.ge/newsite/vol-10-3/">http://science.org.ge/newsite/vol-10-3/</a>	ტ.10 №3	თბილისი	8
ანოტაცია ქართულ ენაზე					

სტატიაში განხილულია ალაზანგაღმა კახეთის გვიანპლინსბახურ-ადრეტოარსულ-წიკლაურის წყების ფიქლების სერიაში გამოვლენილი ბაზალტური მაგმატიზმის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი და გეოლოგიურ-პეტროლოგიური თავისებურებანი მდ. სტორის გამოსავლების მაგალითზე; გაანალიზებულია ვულკანური პროდუქტების მინერალოგიურ-პეტროლოგიური და სტანდარტული ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის შედეგები;

დადგენილია, ლავური განფენების კავშირი საერთო კავკასიური მიმართების მაგმამატარებელ სილრმულ რდვევის ზონებთან, რომელიც მდ სტორის აუზში მიმართებაზე თითქმის 4.5 კმ-ზე გაიდევნება. ვულკანური პროდუქტებისათვის დამახასიათებელია-მასიური, ბალიშა და ბრექჩიული ტექსტურები; სჭარბობს პორფირული სტრუქტურა- ინტერსერტალური და პიალოპილიტური ძირითადი მასით; აღინიშნება, დიაბაზური სტრუქტურაც. ვულკანურ კომპლექსს განცდილი აქვს მნიშვნელოვანი პოსტმაგმური ჰიდროთერმული გარდაქმნა-მთავარი ქანმაშენი მინერალები (ლაბრადორი, ავგიტი) ნაწილობრივ, ან მთლიანად ჩანაცვლებულია მათი შეცვლის პროდუქტებით (ამფიბოლი, ქლორიტი, ცონზიტი, ეპიდოტი, კალციტი, სოსურიტი, ლიმონიტი), შედეგად მუქი-ნაცრისფერი, თითქმის შავი ფერის ბაზალტური ქანები იძენენ დია ნაცრისფერ- მწვანე- შინდისფერ შეფერვას, რაც საბოლოოდ ფიქსირდება, როგორც სანახელავო და მოსაპირკეთებელი ქანების მაღალი იერ-სახის დეკორატიული მახასიათებელი.

ბაზალტების უმეტესობა სუბტუტე რიგს მიეკუთვნება, მცირე-ტუტე რიგს. ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით ბაზალტები წარმოადგენს დეკორატიული იერსახის მქონე ზემკვრივ, ზემტკიცე, არაპოროვან, ყინვამედეგ და ცვეთამედეგ-პირველი კლასის ქანებს, რომლებიც წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალად. ამ კომპლექსის ბაზაზე კახეთის რეგიონში შეიძლება შეიქმნას ქვის მომპოვებელი და დამტუშავებელი საწარმოები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის ინფრასტრუქტურის, საერო და საეკლესიო სამშენებლო სამუშაოების დაჩქარებულ ტექნიკებით განვითარებაში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ურნა- ლის/კრებულის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
	საყვარელიძე ე. ქუთელია გ.	სითბური ველის ანომალიისა და სეისმური საშიშროების ზონების კავშირის შესახებ კავკასიის რეგიონის მაგალითზე	თსუ ი.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მრომები, №17 ა	თბილისი	

#### ანოტაცია ქართულ ენაზე

ნაშრომი ეძღვნება სითბურ ანომალიებსა და სეისმურ საშიშროებას შორის კავშირის დადგენას კავკასიის რეგიონისათვის. გამოყენებულია ტემპერატურების სილრმითი განაწილების რუკები კონრადისა და მოხოს ზედაპირებისათვის, აგრეთვე სეისმური საშიშროების რუკები საკვლევი რეგიონისათვის. ამ რუკების შედარების საფუძველზე დადგენილია კორელაცია ტემპერატურული ანომალიების ზონებსა და სეისმური საშიშროების ზონებს შორის, რომელიც განსაკუთრებით კარგად მუდავნდება კავკასიონზე და ჯავახეთისა და სომხეთს ზეგნებზე.

## II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Lela Mtsariashvili, Nodar Kekelidze, Bejan Tuberidze, Eremia Tulashvili, Irina Ambokadze	Radon in Natural Water Sources in Tbilisi Artesian Basin, Georgia, 16 <sup>th</sup> International Multidisciplinary Scientific GeoConference & EXPO SGEM 2016 <a href="http://sgem.org/sgemlib/spip.php?article7840">http://sgem.org/sgemlib/spip.php?article7840</a>	Conference proceedings on Water Resources. Forest, Marine and Ocean Ecosystems, Book 3, Volume I, Hydrogeology and Water Resources, Albena Resort	Bulgaria, 2016	pp. 605 – 612.

## ანოტაციები ქართულ ენაზე

წარმოდგენილ შრომაში მოცემულია ქალაქ თბილისის /საქართველოს დედაქალაქი/ მიმდებარე ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ე.წ თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე განლაგებულ ზედაპირული წყლების სხვადასხვა ტიპებში /გაზაფხული, მდინარე და სხვ/ რადიოაქტიური გაზის-რადონის-Rn-222 შემცველობის შესწავლის შედეგები; კვლევები ჩატარდა მთელი წლის განმავლობაში /იანვარ-დეკემბერი/; ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში გაზომვებისათვის საჭირო ნიმუშების აღება ხდებოდა ყოველთვიურად; რადონის შემცველობის გასაზომად გამოყენებული იქნა რადონის დეტექტორი-RAD7; დადგენილი იქნა, რომ რადონის შემცველობა წყალში მნიშვნელოვნად იცვლება წყაროს მდებარეობის და წყლის ტიპის შესაბამისად. მაგალითად რადონის შემცველობა წყაროს წყლებში დადგენილი იქნა რამდენიმე ერთეულიდან და უფრო მეტიც- L-1 -დან 100 ნკ L-1-მდე; რადონი სხვა სახის წყლებში გაცილებით მცირეა.

ჩატარებული იქნა წყაროების სისტემატიზაცია ჯგუფებად /შვიდი ჯგუფი აქტიურობის-ძალიან დაბალი-0,3 ნკ L- დან- ზემაღლამდე-100 ნკ L-1-ზე მეტი/; ანალიზირებული იქნა სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობა რადონის შემცველობაზე, მაგალითად: ნიადაგურ-გეოლოგიური აგებულების თავისებურებანი, წყლის აღების თავისებურებანი და სხვ. ჩატარებული იქნა მიღებული მონაცემების ლიტერატურულ მონაცემებთან შედარება.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	---	------------------------------	-----------------------------------	------------------------

<b>Bejan Tutberidze Mariam Akhalkatsishvil i</b>	<b>GEOLOGY AND PETROLOGY OF THE INTRAPLATE CENOZOIC CONTINENTAL BASALTS IN THE TRANSCAUCASIAN INTERMOUNTAIN AREA (GEORGIA), Journal of the Geological Society of India</b>	<span style="font-size: 10px;">გადაცემულია დასაბეჭდად</span>  <b>JGSI-D-15-00105R1</b>	
--	--	--	--

### ანოტაციები ქართულ ენაზე

ტრანსკავკასიური მთათაშუა არეალი ალპურ-ხმელთაშუაზღვიური სარტყელის-კავკასიის სეგმენტის შემადგენელი ნაწილია. არეალის ფარგლებში გამოვლინებული ბაზალტები გვიანმილური ვულკანური ფაზის პროდუქტს წარმოადგენს (K-Ar 6.10 + 0.20-6. 40+0.20 Ma). ბაზალტების ამოფრქვევებს ემსახურება მონოგენური ვულკანები-აგებული ლავური განვენებითა და მათი ექვივალენტი პიროკლასტებით. ბაზალტებს შორის გამოიყოფა პორფირული, ოლიგოფირული (იშვიათად აფირული) ჯგუფები-სუბოფიტური სტრუქტურით; ბაზალტებს შორის დომინირებს ტოლეიტური და სუბტუტე ბაზალტები; მნიშვნელოვანი როლი ბაზალტების პეტროგენეზისში აქვს ფრაქციულ კრისტალიზაციას; თითქმის ყველა ანალიზირებულ ნიმუშში არაერთნაირი ხარისხით ფრაქციონირებს: ოლიგინი (Ol)  $\pm$  ჰაგიოკლაზი (Plag)  $\pm$  ლინოპიროქსენი. ბაზალტების მნიშვნელოვან დაბინძურებას ზედა კონტინენტური ქერქის მასალით არ ადასტურებს Rb/Sr და Rb/Ba მნიშვნელობები და Sr, Nd იზოტოპურ-გეოქიმიური შედგენილობა. საკვლევი ბაზალტები ხასიათდებიან LREE მაღალი ფრაქციონირებით HREE შედარებით, (La/Yb=9.25-24.00) რითაც სიახლოეს ავლენებ ოკეანური კუნძულების ბაზალტებთან (OIB). OIB სიახლოეს ადასტურებს Ce/Pb, La/Nb, Zr/Nb, Zr/Y მნიშვნელობებიც.

საკვლევი ბაზალტური მაგმის პეტროგენეზისში გრანატის მატარებელი სუბსტრატის მონაწილეობას ადასტურებს Zr, Nb, Y მაღალი შემცველობები და La/Yb ფრაქციონირების მაღალი ხარისხი. Dy/Yb-La/Yb და Yb-La/Yb მონაცემების თანახმად შეიძლება ვივარაულოთ საკვლევი ბაზალტების მომცემი მაგმების წარმოქმნის ე.წ „შერეული“ მოდელი; ამ მოდელის მიხედვით მაგმის ფორმირება ძირითადად ლითოსფერული მანტიის ამგები შპინელიანი და გრანატიანი ლერცოლიტების ნაწილობრივი ლდობის ხარჯზე მიმდინარეობს; La / Yb, La / Nb, Sr და Nd იზოტოპური შეფარდებათა დამოკიდებულება () არ გამორიცხავს საკვლევი ბაზალტების მაგმური წყაროს ფორმირებაში დეპლეტირებული მანტიისა (DM) და ასოფ-ნოსფერული კომპონენტით გამდიდრებული მანტიის (EMI) მონაწილეობას.

## III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

## ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ბეჟან თუთბერიძე, მარიამ ახალგაციშვილი, მირიან მაქაძე, ნინო ჯობახიძე	გოდერძის ვულკანოგენურ-დანალექი წყების ნამარხი ფლორა და პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესი	25-29 იანვარი თბილისი, <a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/">http://conference.ens-2016.tsu.ge/</a>

## მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

გოდერძის წყების ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებში მოქცეული ნამახი ფლორა დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას, როგორც შემცველი წყების ასაკისა და კლიმატური პირობების აღდგენის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორი; წყების ტუფოგენურ ნაწილში მოქცეული ნამარხი ფლორის ნაშთები წარმოდგენილია კარგი დაცულობის სხვადასხვა ზომისა და მორფოლოგის ფოთლების აღნაბეჭდების, მთლიანად გაკაუჭბული დიდი ზომის მცენარეებისა და ცალკეული დეროების სახით. ჩვენს მიერ შეგროვილი ფლორის მდიდარი კოლექცია შემდეგ სახეებს აერთიანებს: *Myrtus sp.*, *Platanus aceroides*, *Corylus insignis* Heer, *Sapindus cupanoides* ett., *Acer sp.*, *Quercus neriiifolia* A.Br. და სხვ. ფლორის აღნაბეჭდების მორფოლოგიის შესწავლა ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობილოგიის ინსტიტუტში. დადგინდა ნამარხი ფლორის ახალი სახეებიც, აღწერილი ნიმუშები დამახასიათებელია სუბტროპიკული ჰავის პირობებისთვის და ზოგირთი მკვლევარის მიხედვით დასავლეთ ევროპის ოლიგოცენური და ქვედა მიოცენური ფლორის თითქმის იდენტურია.

გოდერძის წყების ვულკანოგენურ-დანალექი წყებაში აღინიშნება პოსტვულკანური ჰიდროთერმული პროცესის პროდუქტები, რომელთაგან წამყვანია კალციტი და ქალცედონი, წარმოდგენილი ძარღვაკებისა და ბუდეების სახით; საველე დაკვირვებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კალციტ - ქალცედონური ტიპის მინერალიზაციის პროცესი წარიმართა გოდერძის წყების პიროკლასტური ნაწილის ფორმირების დამამთავრებელ ეტაპზე, ანდეზიტური ლავური ნაკადის ფორმირებამდე. განსხვავებულ ჭრილებში მინერალთა მსგავსი პარაგენეტული ასოციაციები მიუთითებს მათი საერთო მკვებავი მაგმური კერის არსებობასა და წარმომშობი ხსნარების პოსტვულკანურ ჰიდროთერმულ ბუნებაზე.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ბეჟან თუთბერიძე, მარიამ ახალგაციშვილი, მირიან მაქაძე, ნინო ჯობახიძე	ვულკანური ეკოსისტემები /სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის მაგალითზე/	25-29 იანვარი თბილისი, <a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/">http://conference.ens-2016.tsu.ge/</a>

## მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

საქართველოს ტერიტორიის ლანდშაფტის ფორმირებაში გლობალურ როლს ახალგაზრდა ვულკანური და ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნები თამაშობს, რომელთა ასაკი ფართო საზღვრებში ცვალებადობს და მოიცავს პერიოდს გვიან

მიოცენიდან-პოლოცენის ჩათვლით; ვულკანური პროდუქტების კვლევას მორფოლოგიური, პეტროლოგიურ-გეოქიმიური მიმართულებით არც ქართული და არც უცხოელი მკვლევარების მხრიდან ყურადღება არ აკლია, თუმცა ბიოტურ /მცენარეული და ცხოველური სამყარო/და აბიოტურ /ქანები, მინერალები, ნიადაგური საფარი/სამყაროზე ვულკანური პროდუქტების ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებების სტრუქტურისა და დინამიკის შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია ან საერთოდ არ არსებობს. ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი სწორედ ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა. კვლევის ამ ეტაპზე შესწავლის ობიექტად შერჩეული იქნა გოდერძის წყების მძლავრ ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებში დაცული ფლორა, რომელთა მორფოლოგიური შესწავლა და დიაგნოსტიკა მრავალ ავტორთა შრომებში საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორებისათვის ფლორის აღწერის პარალელურად ვულკანური ეკოსისტემები შესწავლის ობიექტად არ გამხდარა. ჩვენი კვლევა ეფუძნება გასულ წელს ჩატარებულ საველე სამუშაობის შედეგად გოდერძის წყების ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებში მოპოვებულ მდიდარ ფლორისტული მასალის კვლევის მონაცემებს. კვლევის შედეგების საფუძველზე შედგენილ საბოლოო ანგარიშში დეტალურად იქნება განხილული ვულკანური ეკოსისტემების ფაქტორების /ლითოდინამიური, ჰიდროდინამიური/ როლი ბიოტის განადგურებში.

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გურამ ქუთელია ევგენი საყვარელიძე	კავკასიის სიობური ველი	25-29 იანვარი თბილისი, <a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/">http://conference.ens-2016.tsu.ge/</a>

#### მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ნაშრომში მოყვანილია კავკასიის რეგიონის სიობური ველის კვლევის შედეგები. შესწავლილი ტერიტორიისთვის გამოთვლილი არის სიობური ნაკადების რადიოგენური მდგენელები. შეფასებულია ნაკადების მანტიური მდგენელების მნიშვნელობები მთიანი რაიონებისთვის, მთათაშორისო დეპრესიისთვის (ქართული ბელტი) და შავი და კასპიის ზღვებისთვის. გამოთვლილია სიღრმითი ტემპერატურები ქერქის დანალექი კომპლექსისთვის, კონრადისა და მოხეოს საზღვრებისთვის. აგებულია სიობური ნაკადების და სიღრმითი ტემპერატურების განაწილების რუკები.

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	გურამ ქუთელია, მარინა დევიძე	საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის მრუდის აგება საქართველოს ტერიტორიისათვის	25-29 იანვარი თბილისი, <a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/">http://conference.ens-2016.tsu.ge/</a>

#### მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

დღეისათვის არქეომაგნიტური დათარიღების მეთოდი ფართოდ გამოიყენება, როგორც არქეოლოგიური კვლევის ჩვეული ინსტრუმენტი. ის მოიცავს მრავალ მეთოდს მათ შორის

ყველაზე ხელსაყრელის შერჩევა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა საკვლევი მასალის რაობა, მდგომარეობა, ასაკი და გაზომვის სიზუსტე. ბოლო ათწლეულის განმავლობაში არქეომაგნეტიზმი ფართოდ გამოიყენება ვულკანური ლავების, არქეოლოგიური ობიექტების დათარიღებისას. მათი აბსოლიტური ასაკის დადგენის შესაძლებლობა ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზუსტადაა შესწავლილია ამ ტერიტორიაზე დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილება წარსულში, აგრეთვე რამდენად დეტალური და უტყუარია გეომაგნიტური ვარიაციის მრუდი. კავკასიისა და კერძოდ საქართველოსათვის ასეთი მრუდის ასაგებად საჭიროა ზუსტად დათარიღებულ, დაუზიანებელ, გამომწვარ არქეოლოგიურ ობიექტებსა და ვულკანურ ლავებზე არქეომაგნიტური და პალეომაგნიტური კვლევების ჩატარება.

Nº	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	კარლო აქიმიძე, მირიან მაქაძე	მდ. სტორის აუზში გამოვლენილი ბაზალტური ლავების გეო- სტრატიგრაფიული პოზიცია და ახალი მონაცემები მათი, როგორც მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულის დანაგროვების, პერსპექტიულობის შესახებ	25-29 იანვარი თბილისი, <a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/">http://conference.ens-2016.tsu.ge/</a>

#### მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ალაზნის მარცხენა შენაკადი -მდ. სტორი, წარმოქმნის დრმად ჩაჭრილ კანიონისებრ ხეობას, რომელიც მთელ სიმძლავრეზე კვეთს და შესაბამისად აშიშვლებს, კავკასიონის სამხრეთი ფერდის ამგებ იურული ფიქლების სერიას.

ფიქლების სერი ამ რეგიონში წარმოქმნის სამხრეთით გადმოწეულ ანტიკლინურ სტრუქტურას, რომლის გული აგებულია ჰეტანუ-სინემურული- კვარციანი, არკოზული, გრაუგა-არკოზული ქვიშაქვებით, რომლის ზედა ნაწილში ფიქსირდება აგრეთვა დაციტური შედგენილობის, ერთეული მეტრი სიმძლავრის დაციტური ლავური განფენები და მათი ტუფები. კომპლექსს განცდილი აქვს ძლიერი ჰიდროთერმულ- მეტასომატური მეტამორფიზმი და გადასულია მეორად კვარციტებსა, კვარც- სერიციტ პირიტიან და კვარც-ეპიდოტ-ქლორიტ-პირიტიან ფიქლებში. ეს კომპლექსი გეოლოგიურ ლიტერატურაში „სტორის წყების“ სახელწოდებითა ცნობილი.

„სტორის წყებას“ ანტიკლინის ორივე ფრთაში სტრატიგრაფიულად ზემოთ მოყვება- ჯერ ადრეპლინსბახური ასპიდური ფიქლების, შემდეგ- გვიანპლინსბახური მონოტონური ფიქლების წყება. ანტიკლინური სტრუქტურის სამხრეთ ფრთაში (რომლის სქემაზე ლითო- სტრატიგრაფიულდახასიათებასაც ვაგრძელებთ), გვიანპლინსბახური და ადრეტუარსული მონოტონური ფიქლების საზღვარზეა გამოვლენილი ჩვენთვის საინტერესო ბაზალტური ლავური კომპლექსი. ადრეტუარსული ლრმა ზღვის ფიქლების წყება თანდათანობით გადადის რეგრესული ხასიათის- გვიან ტუარსულ საშუალო და სქელშრეებრივი არკოზული და შერეული შედგენილობის ქვიშაქვიან ნალექებში. მას სამხრეთით, ჯერ აალენური და აალენ-ადრებაიოსური ალევროპელიტური და წვრილ და საშუალომარცვლოვანი პოლიმიქტური ნალექები მოყვება, რომელსაც რღვევით ემიჯნება ცარცული- კარბონატული (კირქვები, მერგელები) ნალექები, რომელიც ალაზნის დეპრესიაში გადადის.

აღნიშნული ბაზალტური ლავური კომპლექსი, როგორც მოსაპირკეთებელი ქვის შესაძლო

ნედლეული, 2014 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, შესწავლილი იქნა ჩვენი დეპარტამენტის ჯგუფის მიერ მდ. სტორის მარჯვენა ფერდსა და მისი მარჯვენა შენაკადის-სვიანას ხევის აუზში. დადგინდა, რომ ლაგური კომპლექსი უკავშირდება ზედაპლინსბახ- ქვედატუარსული ასაკის, საერთო კავკასიური მიმართების სიღრმული რღვევის ზონას, რომელიც თითქმის 3 კმ გაიდევნა; ზონის სიმძლავრე 300 მ.-აჭარბებს. მასში 10-45 მ. სიმძლავრის განფენები კულისისებურად ენაცვლებიან ერომანეთს, ხოლო მათი ჯამური სიმძლავრე 100მ.-ზე მეტია. ამავე დროს, როგორც ფიზიკო-მექანიკური თვისებით, ისე დეკორატიული მახასიათებლებით კომპლექსი სრულად აკმაყოფილებს საამშენებლო - მოსაპირკეთებელი და სანახელავო ნაწარმის დასამზადებელი ნედლეულისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

გასულ, 2015 წელს, ჯგუფმა შეცვლილი შემადგენლობით (ასოცირებული პროფესორი კაქიმიძე, მაგისტრანტი მ.მაქაძე) გააგრძელა კომპლექსის შესწავლა მდ. სტორის მარცხენა ფერდსა და მდ. ეშმაკის ხევის აუზში. მიუხედავად ცუდი გაშიშვლებულობისა (ტყის ზოლი) და უადრესად რთული კანიონისებრი რელიეფისა, მაგმამატარებელი ზონა მიმართებაზე გაიდევნა 1.5 კმ. რაც შეეხება ზონაში ლაგური განფენების განლაგებას, კომპლექსის ფიზიკო-მექანიკურ თვისებებსა და დეკორატიულ მახასიათებლებს, ისინი აქაც შენარჩუნებულია.

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	მირიან მაქაძე, კარლო აქიმიძე, გვარამ ბენიძე	სპილენძ-პიროტინული და პირიტპოლი- მეტალური გამადნების ფორმირების თავისებურებები ალაზანგაღმა კახეთის ტერიტორიაზე საცხვრებორნის მადან- გამოვლინების მაგალითები.	25-29 იანვარი თბილისი, <a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/">http://conference.ens-2016.tsu.ge/</a>
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

ალაზანგადმა კახეთის ტერიტორიისადმი ინტერესი, როგორც რცსპილენბ-პოლიმეტალურ გამადნებაზე პერსპექტიული რეგიონი გეოლოგების ყურადღებას მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან იაყრობს. მისადმი პრაქტიკული ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც ალაზანგადმა კახეთის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე - აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ანალოგიურ გეოლოგიურ პირობებში აღმოჩენილი იქნა კაცდაგის, ფილიზჩაისა და კატების მსხვილი კოლჩედანური სპილენბ-პოლიმეტალური საბადოები.

რეგიონში არსებულ მრავალ მადანგამოვლიმებათა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საცხვრებორნის მადანგამოვლინება, რომელიც განლაგებულია სტორი - ლოფოთის (ალაზანგადმა) ანტიკლინორიუმის ჩრდილო ფრთაში, არშის გასწვრივი (სუბგანედური) რეგიონალური რდგვევის სტორი-საცხვრებორნის განივი (სუბმერიდიონალური) ლრმული რდგვევით გადაკვეთის კვანძში.

მადანგამოვლინებაზე საველე გეოლოგიური და კამერალური სამუშაოების ჩატარების შედეგად აღნიშნული ზონის ფარგლებში გამოვლენილია სპილენბ-პოლიმეტალური გამადნების 3 ქვეზონა, სიმძლავრეებით 1,2 მ-დან 7,5 მ-დე. ეს ქვეზონები წარმოდგენილია სუბპარალელური კვარც-სულფიდური ძარღვებით, რომელთა სიმძლავრეები მერყეობენ ერთეული სანტიმეტრებიდან 50 სმ-დე. მადნებისათვის დამახასიათებელია მასიური, ბრექჩიული და ძარღვაკულ-ჩაწინწალული ტექსტურები. მინერალური შედგენილობის მიხედვით გამოიყოფა: პიროტინ-პოლიმეტალური, პირიტ-ქალკოპირიტული და პირიტ-პოლიმეტალური გამადნების ტიპები. მადნების აღნიშნული მინერალური ტიპები არათანაბრადაა განაწილებული მადნიანი ზონის ფარგლებში. სხვადასხვა შედგენილობის ძარღვების სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მათი ფორმირების თანმიმდევრობისა და ეტაპობრივობის შესახებ. ჩატარებული სამუშაოები აგრეთვე ითვალისწინებს აღნიშნული მადანგამოვლინების შესწავლას ოქროს გამადნებაზე.

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ზურაბ ლებანიძე, რატი ზედგინიძე, თამარ ბერიძე	მდ. ფშავის არაგვის ქვედაცარცული ნალექების სედიმენტოლოგიურ-იქნოლოგიური შესწავლა	25-29 იანვარი თბილისი, <a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/">http://conference.ens-2016.tsu.ge/</a>
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

2015 წლის საველე სამუშაოების პერიოდში ჩვენს მიერ შესწავლით იქნა მდ. ფშავის არაგვის აუზის ქვედაცარცული ნალექების რამდენიმე ჭრილი სედიმენტოლოგიური კვლევის და მათში იქნოფაუნის დადგენის მიზნით. ე. ვარსიმაშვილის (2000) მონაცემებით და ჩვენი დაკვირვებით მდ. ფშავის არაგვის ხეობაში ქვედაცარცულის არასრული ჭრილია წარმოდგენილი პოტრიფულით დაწყებული ალბურით დამთავრებული. ქვედაცარცულის ჭრილი ზოგადად შემდეგნაირად გამოიყერება: უძველესი წარმონაქმნია ქვედაპოტრიფული ასაკის ე. წ. ბახანის წყება, რომელიც აგებულია კარბონატული და არაკარბონატული წარმონაქმნების (კირქვები, მერგელები, ქვიშაქვები, არგილიტები) მორიგეობით (სიმძლავრე 100–250 მ). სტრატიგრაფიულად ზევით განლაგებულია გრაუვაკურ-ალევრიტული ფასანაურის წყება, რომელიც სამ ქვეწყებად ნაწილდება: ქვედა – 100–300 მ სიმძლავრის, აგებული არგილიტებითა და პლაგიოკლაზიან-კვარციანი ქვიშაქვებით (ზედაპოტრიფული), შუა – ქვედაბარემული, წარმოდგენილი არგილიტების შუაშრეულის შემცველი სქელშრეებრივი არკოზულ-კვარციანი ქვიშაქვებით (სიმძლავრე 90–250 მ) და ზედა – აგებული 80–130 მ სიმძლავრის არგილიტებითა და პლაგიოკლაზიან-კვარციანი ქვიშაქვებით (ზედაბარემული). ფასანაურის წყებას აგრძელებს აპტური ასაკის თეთრახევის წყება, რომელიც აგებულია შავი და ნაცრისფერი არგილიტებისა და ქარსიან-პლაგიოკლაზიან-კვარციანი ქვიშაქვების მორიგეობით (სიმძლავრე 220–250 მ). ქვედაცარცულის ჭრილი სრულდება ფავლეურის წყების ფერადი არგილიტებით, ნაცრისფერი მერგელებით და ქვიშიანი კირქვებით. ზედა პორიზონტებში ჩნდება გულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნები (სიმძლავრე 250–300 მ).

ამრიგად, აღნიშნული ნალექები, შედგენილობისა და მასალის წყაროს მიხედვით, ხასიათდებიან რა ფლიშისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, წარმოადგენენ ერთიან ფლიშურ ფორმაციას, რომელშიც განირჩევა კლასტურ-კირქვიანი და გრაუვაკურ-ალევრიტული ტიპები. კლასტურ-კირქვიან ფლიშის ტიპში, რომელიც შესწავლილი კომპლექსის ზედა პორიზონტებშია განვითარებული, ქანების გრანულომეტრიული და ნივთიერი შედგენილობის და რითმის ელემენტების სიმძლავრის მიხედვით მიეკუთვნება მერგელიან – არგილიტიან სახესხვაობას. გრაუვაკურ-ალევრიტულ ტიპში კი გამოიყოფა ქვიშაქვა-არგილიტიანი (ნორმული ფლიში – პოტრიფული), ქვიშაქვიანი (ქვედაბარემული) და არგილიტიანი (ზედაბარემულ-აპტური) სახესხვაობები.

სხვადასხვა გენეზისის იეროგლიფები მდ. ფშავის არაგვის აუზში გვხვდება ძირითადად ჰოტრიგულ და ბარემულ ნალექებში. აქ განვითარებულინადენი ფორმების წაწვერის დაბოლოებების მიმართულება ძირითადად ჩრდილოურ-ჩრდილო-აღმოსავლურია ( $N 0^{\circ}$  –  $NO 5^{\circ}$ ), რაც ადასტურებს მოსაზრებას აუზის ამ ნაწილის მაკიბავი არეს შესახებ (ბათური კორდილიერა).

მდ. ფშავის არაგვის აუზის ქვედაცარცულ ნალექებში წინასწარი განსაზღვრით დადგენილია იქნოგვარების Chondrites (2 იქნოსახე), Cochlichnus (1 იქნოსახე), Nereites (1 იქნოსახე) და Zoophycos (1 სახე) წარმომადგენლები. იქნოკომპლექსში მეანდრინებადი და სპირალური ფორმების არსებობა მიუთითებს ბიორგოპზე სტაბილური გარემო პირობებით და შეზღუდული საკიბი რესურსით, ანუ ღრმა ზღვის ფსკერზე (Nereites-ის იქნოფარიესი), ხოლო Chondrites-ების გავრცელება დამატებით მეტყველებს დაბალ-ოქსიგენურ გარემოზე.

## ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
Lela Mtsariashvili, Nodar Kekelidze, <b>Bejan Tutberidze,</b> Eremia Tulashvili, Irina Ambokadze	<b>Radon in Natural Water Sources in Tbilisi Artesian Basin</b>	<b>16th edition of the SGEM International GeoConferences Bulgaria, 2016</b> June 28 - July 6	

## მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

წარმოდგენილ შრომაში მოცემულია ქალაქ თბილისის /საქართველოს დედაქალაქი/ მიმდებარე ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში კ.წ თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე განლაგებულ ზედაპირულ წყლების სხვადასხვა ტიპებში /გაზაფხული, მდინარე და სხვ/ რადიოაქტიური გაზის-რადონის-Rn-222 შემცველობი შესწავლის შედეგები; კვლევები ჩატარდა წლის მთელი პერიოდის განმავლობაში/იანვარ-დეკემბერი/; ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში გაზომვებისათვის საჭირო ნიმუშების აღება ხდებოდა ყოველთვიურად; რადონის შემცველობის გასაზონად გამოყენებული იქნა რადონის დეტექტორი-RAD7; დადგენილი იქნა, რომ რადონის შემცველობა წყალში მნიშვნელოვნად იცვლება წყაროს მდებარეობის და წყლის ტიპის შესაბამისად. მაგალითად რადონის შემცველობა წყაროს წყლებში დადგენილი იქნა რამდენიმე ერთეულიდან და უფრო მეტიც-L-1-დან 100 ნკ L-1-მდე; რადონი სხვა სახის წყლებში გაცილებით მცირეა.

ჩატარებული იქნა წყაროების სისტემატიზაცია ჯგუფებად /შვიდი ჯგუფი აქტიურობის-ძალიან დაბალი-0,3 ნკ L- დან- ზემაღლამდე-100 ნკ L-1-ზე მეტი/; ანალიზირებული იქნა სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობა რადონის შემცველობაზე, მაგალითად: ნიადაგურ-გეოლოგიური აგებულების თავისებურებანი, წყლის აღების თავისებურებანი და სხვ. ჩატარებული იქმა მიღებული მონაცემების ლიტერატურულ მონაცემებთან შედარება.

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
ზ. ლებანიძე გ. ქოიავა ს. ხუციშვილი რ. ჩაგელიშვილი ნ. ხუნდაძე ო. ბერიძე	Trace Fossils in the Paleogene Deposits of Borjomi Area (the Central Segment of the Achara-Trialeti Fold and Thrust Belt, Georgia: Preliminary Data of Ichnological Studies		4 <sup>th</sup> International Congress on Ichnology იდანია-ა-ნოვა, პორტუგალია 6-9 მაისი, 2016

## მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ბორჯომის რაიონის უძველეს ნალექებს წარმოდგენენ პალეოცენ-ქადაგოცენური (E1-E2<sup>1</sup>) ასაკის, "ბორჯომის წყების" ან "ბორჯომის ფლიშის" სახელწოდებით ცნობილი, ფლიშური წარმონაქმნები, რომლებიც წარმოდგენილია ქვიშაქვა-ალევროლიტურ-კლასტურ-კირქვიანი ფლიშით. მისთვის დამახასიათებელია რიტმულობა, გრადაციული შრეებრიობა, ციკლოტემები და ფლიშისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები. "ბორჯომის წყება" აგებულია კლასტური კირქვებით, მერგელებით, თიხებით, არგილიტებით და მერგელოვანი და ალევრიტული ტურბიდიტებით. ზედა ნაწილში

გვხვდება ვულკანიზმის პროდუქტებიც. პალეოცენ-ქვედაეოცენურ ნალექებს აღმავალ ჭრილში აგრძელებს შუაეოცენური (E<sub>2</sub><sup>2</sup>) მძლავრი ვულკანოგენურ-დანალექი სერია, რომელიც სამ წყებად ნაწილდება. სერიის ქვედა ნაწილი აგებულია 1500 მ სიმძლავრის სუბტუტე ბაზალტების შრეებრივი ვულკანოკლასტოლიტებით (ლიკანის წყება). მას მოჰყვება ქვაბისევის წყება, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა შედგენილობის ლაგური განფენების და შრეებრივი ტუფების მორიგეობით, სიმძლავრე - 600 მ. შუა ეოცენის ზედა ნაწილს შეადგენს დვირის წყება, რომელიც აგებულია დაბალტიტანიანი ბაზალტების მასიური და უხეშნატეხოვანი ლავო- და ტუფბრექჩიებით და ლაგური განფენებით, წყების სიმძლავრე 1000-1800 მ-ია.

"ბორჯომის წყების" პალეოცენურ ნაწილში (დაბისევის ქვეწყება) პირველად იქნა გამოვლენილი ნამარხი ნაკვალევების ორი იქნოგვარის: Chondrites-ის და Avetoichnus-ის წარმომადგენლები. ეს კომბინაცია დამახასიათებელია წვრილმარცვლოვანი ტურბიდიტული სისტემების დისტალური მერგელოვანი და ალევრიტული ტურბიდიტებისათვის (ეოცენი, ბისტრიცას ფორმაცია, ზბლუბა, გარე კარპატები, პოლონეთი (Uchman, 2008)).

პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო ინფორმატიულია შუაეოცენური ნალექები. ნამარხი ნაკვალევები დაკავშირებულია ლიკანის წყების სხვადასხვა დონეებთან და გამოვლენილია მდ. მტკვრის (ახალდაბა, ლარები) და მდ. ბორჯომულას ჭრილებში. შუაეოცენურ იქნოკომპლექსში ჩვენს მიერ დადგენილია რთული, სპირალური და მეანდრირებადი და მათი კომბინაციებით წარმოქმნილი ნაკვალევები, რომლებიც მიეკუთვნებიან შემდეგ იქნოგვარებს: Helmintoida, Spiroraphe, Cosmoraphe, Taphrholmintopsis, Spirophycus. უკანასკნელი ორი ფორმა ცნობილია ესპანეთის ეოცენიდან. ნამარხი ნაკვალევების ასეთი რთული ტრაექტორიები დაკავშირებულია ფაციესებთან, რომლებიც შეესაბამებიან ბიოტოპებს სტაბილური გარემოთი და შეზღუდული საკვები რესურსებით (დრმა ზღვის ფსკერი).

ამრიგად, პალეოცენ-ქვედაეოცენური აუზის აღნიშნული უბანი წარმოადგენდა წვრილმარცვლოვანი ტურბიდიტული სისტემის დისტალურ ნაწილს და მისთვის დამახასიათებელი იყო სედიმენტაციის დაბალ-ოქსიგენური გარემო (Chondrites-ის იქნოფაციესი). შუაეოცენურში აღნიშნული ტერიტორია ღრმა ზღვის ფსკერს წარმოადგენდა, რაც ეთანხმება მოსაზრებას, რომ ამ დროს ადგილი ჰქონდა აჭარა-თრიალეთის რიფების მაქსიმალურ გაჭიმვას. (Адамия и др., 1974, 1977).

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
თ. ბერიძე კ. ქოიავა ს. ხუციშვილი რ. ჩაგელიშვილი ნ. ხუნდაძე ზ. ლეგანიძე	Upper Eocene Ichnofauna of the Tbilisi Suite in the Eastern Segment of the Achara-Trialeti Fold and Thrust Belt, Georgia: Revised Data	4 <sup>st</sup> International Congress on Ichnology იდანია-ა-ნოვა, პორტუგალია 6–9 მაისი, 2016წ.	

#### მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში ზედაეოცენური იქნოფაუნის ადგილსამყოფელი დადგენილია თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 5კმ-ში, სოფ. ლისის მიდამოებში და დაკავშირებულია ლისის ანტიკლინის თაღურ ნაწილთან, რომელიც აგებულია თიხის ფენებისა და მერგელების იშვიათი შუაშრეების შემცველი ქვიშაქვებისა და ფიქლებრივი თიხების მონაცვლეობით. შეიცავს მცენარეულ ნაშთებს, ფხვიერი

ქვანახშირის მცირე ლინზებს. ქვიშაქვებში დადგენილია *Nummulites fabianii* Prev. წყების სიმძლავრე 1000 -1500 მ-ია.

თბილისის წყების იქნოკომპლექსში ჩვენს მიერ დადგენილ იქნა შემდეგი იქნოგვარების: *Avetoichnus*, *Chondrites*, *Megagraption*, *Nereites*, *Paleodictyon* (*P. cf minimum Sacco*), *Planolites*, *Taenidium*, *Zoophycos* წარმომადგენლები. დ. ზეილაპერის ნამარხი ნაკვალევების ბათიმეტრიული ზონალობის სქემის თანახმად, ლისის იქნოკომპლექსი შეიცავს ბათიალური *Nereites*-ის (*Avetoichnus*, *Nereites*, *Megagraption*, *Paleodictyon*), შელფურ და ბათიალურ ზონებს შორის გარდამავალი *Zoophycos*-ის (*Zoophycos*) და დაბალ-ოქსიგენური გარემოს მაჩვენებელი *Chondrites*-ის (*Chondrites*) ფაციესის დამახასიათებელ ფორმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზედაეოცენის ზედა ნაწილისგან განსხვავებით, ლისის ანტიკლინის ოლიგოცენური ნალექები აბსოლუტურად მოკლებულია ბიოტურბაციის კვალს. ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ მაიკოპური სერიის დალექვის დროს (ოლიგოცენ-ქვედამიოცენური), აუზის ფსკერი მოწამლული იყო გოგირდწყალბადით და გარემო არახელსაყრელი იყო ბენთოსური ორგანიზმების განსახლებისთვის.

თბილისის მიდამოების ჩრდილო და დასავლეთ ნაწილებში ნუმულიტებიანი წყების ზედა საზღვარი ოლიგოცენურ ნალექებთან მხელი გასავლები იყო, ვინაიდან ეს ორი ასაკობრივივად განსხვავებული წარმონაქმნი შეხების ზოლში ლითოლოგიურად მსგავსია. ამის გამო სხვადასხვა მკვლევარი მათ შორის საზღვარს სხვადასხვა დონეზე ატარებდა და ცდომილება, ზოგ შემთხვევაში, რამდენიმე ასეულ მეტრს შეადგენდა. შესაბამისად, ზედაეოცენურ იქნოფაუნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის სტრატიგრაფიის თვალსაზრისით. საზღვარი ეოცენსა და ოლიგოცენს შორის უნდა გატარდეს იქნოფაუნის შემცველი ყველაზე ახალგაზრდა შრეების სახურავზე.

გეოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის  
სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის 2016 წლის ანგარიში

№	თემის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
1	ნეოგენურ-ანთროპოგენური გულკანური წარმონაქმნებში პოსტ- ულკანური მინერალიზაციის პროცესები“ (ადიგენისა და ასპინძის რაიონი)  პეტროლოგია, გეოლოგია	პროფესორი ბეჟან თუთბერიძე ასისტენტ-პროფესორი მარიამ ახალკაციშვილი ანზორ გიორგაძე, სტედენტი გიორგი მაისურაძე, სტედენტი	
კვლევითი სამუშაოს შუალედური ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			

მიმდიმარე წლის საანგარიშო პერიოდში გოდერძის უდელტეხილის რეგიონის მაგალითზე კვლავ გაგრძელდა გვიანმიოცენურში გამოვლინებული მძლავრი ვულკანური პროცესების ეკოსისტემებზე ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებების შესწავლა; მოპოვებული იქნა ეკოსისტემის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის განამარხებული ფლორის დღემდე უცნობი სახეები; დიდი ყურადღება დაეთმო ასევე ვულკანური ამოფრქვევის პროდუქტების ქვეშ დამარხული ტყეების გაქვავებაში პოსტვულკანური პროცესების როლის შესწავლას.

მოპოვებული მასალის ნაწილი დამუშავებულია, ნაწილიც დამუშავების პროცესშია.

Nº	თემის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
	სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულის შესწავლა და პრაქტიკული მნიშვნელობის საბადოების პერსპექტივების განსაზღვრა ალაზანგაღმა კახეთის რეგიონში  პეტროლოგია, გეოლოგია	ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმიძე	გიორგი კიკოლაშვილი, მაგისტრანტი

კვლევითი სამუშაოს შუალედური ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

მიმდინარე წელს საველე გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, მაგისტრანტ გიორგი კიკოლაშვილთან ერთად, ვაწარმოე დურუჯი-ბურსას შუამდინარეთში. შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა ერთის მხრივ სელური პროცესები, რომლებიც ამ რეგიონში ვითარდება და მეორეს მხრივ ტუარსული ასაკის დურუჯის წყების ქვიშაქვების ლითოლოგია და მისი, როგორც შესაძლო საამშენებლო-მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულის პერსპექტივები. ამ მიმართულებით საველე მასალის კამერალური დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს.

Nº	თემის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
	კავკასიონის კიდურა ზღვის აღმოსავლეთ აუზის ცარცული ნალექების სედიმენტოლოგიური და პალეოიქნოლოგიური კვლევა  პალეონტოლოგია, გეოლოგია	ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლებანიძე	სტუდენტი რატი ზედგინიძე

კვლევითი სამუშაოს შუალედური ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

2016 წლის საველე სამუშაოების პერიოდში ჩვენს მიერ შესწავლიდ იქნა ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო ფერდის ზედაცარცული ნალექების რამდენიმე ჭრილი სედიმენტოლოგიური კვლევის და მათში იქნოფაუნის დადგენის მიზნით. ა. ცაგარელის (1954), ნ. მრევლიშვილის (1997) მონაცემებით და ჩვენი დაკვირვებით საკვლევ რაიონში ზედაცარცული ფლიშური ნალექების ჭრილი ზოგადად შემდეგნაირად გამოიყურება: უძველესი წარმონაქმნია უკუღმართის წყება, რომელიც თანხმობით აგრძელებს ქედაცარცული (ალბური) ასაკის ნავთისხევის წყებას და აგებულია კონგლომერატებით, ტუფქვაშაქვებით, პოლიმიქტური ქვიშაქვებით, მერგელოვანი ფიქლებით და მერგელებით. წყება მოიცავს ქვედა სენომანს და შუა სენომანის ქვედა ნაწილს. სტრატიგრაფიულად ზევით თანხმობით განლაგებული ანანურის წყება სამად ნაწილდება: ქვედა ნაწილი წარმოდგენილია 4-45 მ სიმძლავრის გაკაუშებული ფიქლების, ქვიშაქვების და გრაველიტების დასტიო, რომელიც შუა სენომანის ზედა ნაწილს და ზედა სენომანს შეესატყვისება. დამახასიათებელი შავი სილიციტები წყების შუა ნაწილშია წარმოდგენილი (4-55 მ), რომელიც მათზე განლაგებულ გაკაუშებული კირქვების, მერგელების და ქვიშაქვების დასტასთან (6-35 მ) ერთად ქვედა ტურონულს მიეკუთვნება. ანანურის წყებას თანხმობით აგრძელებს 40 მ-მდე სიმძლავრის ზედაცარცონული მარგალიტისკლდის წყება, რომელიც აგებულია დამახასიათებელი წითელი და ვარდისფერი შეფერილობის კირქვების, მერგელების და გრაველიტების მორიგეობით. ზევით მას თანდათანობით ცვლის მოვათალო-თეთრი ფერის ლითოგრაფიული კირქვებისა და მერგელების მორიგეობა - ეშმაკისხევის წყება. წყება ხასიათდება ცვალებადი სიმძლავრით (30-350 მ) და კონიაკურ-ქვედასანტონურად თარიღდება. კარბონაცულია ზედასანტონურ -ქედაკამპანური ნალექებიც - მარცვლოვანი კირქვების და ფერადი (მწვანე და წითელი) მერგელების მორიგეობა (25-40 მ), რომელსაც ჯორჭის წყების სახელით აღწერენ. ზედა ცარცულის ჭრილი მთავრდება ზედაკამპანურ-მაასტრინტული ასაკის საბუე წყებით, რომელიც უთანხმოდ არის განლაგებული ჯორჭის წყების ქანებზე ან უფრო ძველ ნალექებზე. წყება აგებულია კირქვებით, ქვიშიანი კირქვებით, კარბონაცული ქვიშაქვებით, მიკროკონგლომერატებით და ბრექჩიებით. სისქე 25-200 მ-ია.

ამრიგად, აღნიშნული ნალექები, შედგენილობისა და მასალის წყაროს მიხედვით, ხასიათდებიან რა ფლიშისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, წარმოადგენენ ერთიან კლასტურ-კარბონაცულ ფლიშურ ფორმაციას.

ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო ფერდის ფარგლებში ჩვენს მიერ ნამარხი ნაკვალევები დადგენილია კახეთის ზონის ჩრდილო (მდ. ხოდაშნისხევის, თურდოს და ქისისხევის ჭრილები) და სამხრეთ (მდ. ჭერემისხევის და ფაფრისხევის ჭრილები) ნაწილებში. პირველში ნამარხი ნაკვალევები გვხვდება ჯორჭის და საბუე წყებების ქანებზი, ხოლო მეორეში - კამპანურ-მაასტრინტული ორბიტოიდული წყების ფლიშური ფაციესის ქანებზი.

ცივ-გომბორის ქედის ზედაცარცულ ნალექებში ჩვენს მიერ წინასწარი განსაზღვრით დადგენილია იქნოგვარების *Chondrites* (2 იქნოსახე), *Halopoa* (1იქნოსახე), *Ophiomorpha* (2 იქნოსახე) *hycosiphon* (1 იქნოსახე), ? *Scolicia* (1 იქნოსახე), *Thalasinoides* (1 იქნოსახე) წარმომადგენლები. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია *Halopoa imbricata Torell*-ის ნაკვალევები.

ა. ცაგარელის სანტონ-მაასტრინტულის ფაციესების და პალეოგეოგრაფიის რუკის (1954, ნახ. 33) მიხედვით კახეთის ზონა ორბიტოიდული წყების კირქვების, მერგელების და უხეშნაცეხოვანი ქანების ფაციესის განვითარების გამო წარმოადგენდა გაგრა-ჯავის ხმელეთის ნაპირის მიმდებარე მარჩხწყლიან აუზს. თუმცა იქნოკომპლექსის შემადგენლობის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ აუზში იყო ხმელეთიდან საქმაოდ დაშორებული უბნები, სადაც იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები პორიზონტული ნამარხი ნაკვალევების განვითარებისა და განამარხებისათვის.

აუზის ამ ნაწილის მკვებავი არეს სამხრეთ მდებარეობას ადასტურებს აგრეთვე ჩვენს მიერ მდ. ხოდაშნისხევის ჭრილები ნანახი ნადენი ფორმების წაწევებული ბოლოების ჩრდილო-დასავლური (NW 290°) მიმართულება.

Nº	თემის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
	ფოლადაურის მაგნიტური ანომალიის გეოლოგიური ინტერპრეტაცია	ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია	ნარგიზა აბუთიძე, ლაბორანტი, ნონა ლურსმანაშვილი, ლაბორანტი. ნონა წულაია, სტუდენტი

## კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ მადანგამოვლინებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბოლნისის რაიონის ფოლადაურის საბადო. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული მაგნიტური აგეგმვის შედეგად მიღებული იყო დასკვნა, რომ ძიების მაგნიტური მეთოდის გამოყენებით ამ ტერიტორიის უმეტეს უბნებზე საბადოს აღმოჩენა შეუძლებელია. ამას განაპირობებდა ის გარემოება, რომ მინერალი ჰქმატიტი, რომელიც 70% რკინას შეიცავს, მისი ანტიფერომაგნიტურობის გამო ქმნის ძალიან მცირე სიდიდის მაგნიტურ ველს. ახლად ჩატარებულმა კვლევებმა და მიღებული მასალის ხელახალმა ინტერპრეტაციამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვესაზღვრა ანომალიის გამომწვევი სხეულების სიღრმე და წოლის ფორმები.

Nº	თემის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
	ართვინ-ბოლნისის ზონის პალეოგენური ნალექების იქნოლოგიური შესწავლა პალეონტოლოგია, გეოლოგია	ასისტენტ პროფესორი გახა ქოიავა	ნინო დუდაშვილი- ლაბორანტი; ირაკლი კუცია-სტუდენტი

## კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)

ალგეთის ხეობის მარჯვენა ბორტზე, სოფ. წინწყაროს დასავლეთით გაშიშვლებულია ყვითელი და მომწვანო ნაცრისფერი მერგელოვანი თიხები, მსხვლმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვებით და კონგლომერატების ლინზებით, რომლებიც ნუმულიტების მდიდარი ფაუნით ქვედა ეოცენურად თარიღდება (ი. კაჭარავა, ნ. მრევლიშვილი და სხვ. 1959).

მერგელოვა თიხებში ჩვენს მიერ დადგენილია ნამარხი ნაკვალევების შემდეგი იქნოგარების: Chondrites, Ophiomorpha და Thalassinoides წარმომადგენლების არსებობა.

Ophiomorpha და Thalassinoides დამახასიათებელია მარჩხი ზღვის აუზებისათვის, ხოლო Chondrites მიუთითებს დაბალ ოქსიგენურ გარემოზე.